№990 2015 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ ფიზიკურ პირებს: მალხაზ ლასურაშვილს (პირადი №31001014801), ნიკოლოზ ლასურაშვილს (პირადი №01024089985), ნინო ლასურაშვილსა (პირადი №01524092726) და ნონა მნათობიშვილს (პირადი №31001014800) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დიდგორის ქ. №64-ში (ნაკვეთი 20/332) მდებარე 1000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.020.368), აღნიშნული პირების საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე მდებარე 2230 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.004.083) სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

2. ფიზიკურმა პირებმა: მალხაზ ლასურაშვილმა, ნიკოლოზ ლასურაშვილმა, ნინო ლასურაშვილმა და ნონა მნათობიშვილმა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნებით დადგენილი, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონებების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა – 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარი გადაიხადონ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვეში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**